გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიჯავაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



ქართული თეატრი

დღეს, 29 დეკემბერს,

დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**შეშლილია**

დრამა 3 მოქმედებად, ნემეცურიდამ ნათარგმნი.

II

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

ვოდევილი 2 მოქმედ., გადმოკეთებული თ. რაფ. ერისთავისაგან.

მოთამაშენნი: ქქ. ავალოვისა, საფაროვი აბაშიძისა, ლეონიძისა, არლანი; ბბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, მაქსიმიძე და ოქონელი.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე

ოთხშაბათს, იანვრის 6-ს 1888 წელს

ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში გაიმართება:

**ბალი**

სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილ კაბებითაც მობრძანდნენ

ფასი ბილეთისა 2 მანათი, ხორაზედ 3 მანათი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

**ფშაური ლექსები**

შეკრებილი დავით ხიზანაშვილის მიერ, გამოცემა ივერიის რედაქციისა.

ფასი ორი აბაზი.

ახლად გამოვიდა შექსპირის ტრაგედია

**ჰამლეტ**

ინგლისურიდამ გადმოთარგმნილი ივანე მაჩაბლის მიერ. გამოცემა მეორე

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. ფასი ექვსი შაური.

გამოვიდა და იყიდება ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

საქართველოს

**კალენდარი**

შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

ფას. ორი აბაზი.


ტფილისი, 28 დეკემბერი

ამ უკანასკნელს ხანებში ქუთაისი მეტად აღშფოთებული და გაცხოველებულია მომავალ საქალაქო არჩევანის მოლოდინში. ჩვენ რამდენიმე წერილი დავბეჭდეთ ქუთაისიდგან და ეს წერილები ნათლად და ცოცხლად გვიხატავდნენ იქაურს ცხოვრებას, ყოველისავე ღირსებითა და ნაკლულევანებით. წერილები გვარწმუნებენ, რომ რამდენადაც უფრო ახლოვდება არჩევანი, მით უფრო მეტს მოუთმენელობასა და მოუსვენრობას იჩენენ ქალაქის მკვიდრნი, ყველანი იმ დღეს მოელიან, როცა უნდა გადაწყდეს არჩევანის საქმე, ყველა იმასა ჰფიქრობს: შეიცვლება თუ არა ქალაქის მმართველობა და თუ შეიცვლება, რა რიგად უნდა შეიცვალოსო? ზოგნი ასახელებენ ახალს კანდიდატებს, ჰკიცხავენ ძველ გამგეთა და ახალ კანდიდატების ღირსებას სჩხრეკენ, მაგრამ, როგორც დღემდისა სჩანს, მკვიდრთა უმრავლესობა ვერ მორიგებულა ვერც ძველის გამგეობისა და ვერც ახლის თაობაზე.

რასაკვირველია, საზოგადოების სითბიზლე და სიცხოველე სასიამოვნო და საგულისხმოა, მაგრამ თუ ამ სითბიზლეს და სიცხოველეს ძირი და დასაბამი არ გაუსინჯეთ, შეცდომა ადვილად შესაძლებელია. როცა რომელიმე საზოგადოება სიცხოველეს იჩენს რომლისამე საერთო საქმის გამო, უსათუოდ ის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, თუ რა მიზეზს გამოუწვევია ეს სიცხოველე.

შეუძლებელია კაცს ეს აზრი თავში არ მოუვიდეს, როცა ქუთაისის მკვიდრთა მოქმედებასა და საქმეებს ჩაუკვირდება. მართლადაც, მთელი ქალაქი აღშფოთებულია, ყველანი გარდამეტებულს სიცხოველეს იჩენენ, ყველას ენაზე აკრავს საზოგადო საქმე, ყველა იმას ჰღაღადებს, რომ ქალაქის ბედ-იღბალი სხვაფრივ, მკვიდრთა საკეთილდღეოდ, უნდა დავატრიალოთო და სხვანი; რასაკვირველია, მკვიდრთა კეთილდღეობაზე ლაპარაკი და ღაღადება, ქალაქის საქმეთა კარგად, რიგიანად წარმოების სურვილი დიადაც პატივ-საცემია, მაგრამ იმ დრომდე-კი, სანამ ამ ლაპარაკს და ღაღადებას ფესვებს არ გაუსინჯავთ. რაკი ქუთათურების სიტყვისა და ლაპარაკის სარჩულს დახედავთ, ამ სიტყვა ლაპარაკის თვისებაზე დიდს ეჭვს აიღებთ. მართლადაც, ჩაუკვირდით იმ წერილებს, რომელნიც ჩვენ დავბეჭდეთ. როგორც ამ წერილებიდგანა სჩანს, ქუთათურების სიცხოველე ყალბი და ფუტურია, რადგანაც იმისი მიზეზი საზოგადო საქმის სიყვარული-კი არა ყოფილა, არამედ ისეთი რამ, რასაც არც ერთს რიგიანს საზოგადოებაში, როცა საქმე საზოგადო საჭიროებაზე მივარდება, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ქუთაისშიკი, როგორც ჩვენი მოამბენი მოწმობენ, საზოგადო საქმე, ქალაქის საჭიროება, პატიოსნება და სხვა ამ გვარი ლამაზი სიტყვები მხოლოდ ფერ-უმარილია იმ თავის, ვისაც საზოგადო საქმე კიტრადაც არ მიაჩნია. ქუთათურები დანაწილებულან დას-დასად, და თვითოეული დასი ხმა-მაღლა გაიძახის, საჭიროა ქალაქისათვის ვიზრუნოთო, მაგრამ ქალაქად საკუთარი თავი მიაჩნიათ და არა მთელი კრებული მცხოვრებთა. ერთის სიტყვით, თავი იჩინა თვითმოყვარეობამ, ნათესაობამ, მეგობრობამ და ზოგიერთმა ქვენაგრძნობამა.

თუ არა ვცდებით, სარბიელზე არც ერთი ისეთი დასი არ გამოსულა, რომელსაც მხოლოდ ქალაქის საჭიროება ჰქონდეს მხედველობაში, რომელიც საზოგადო საქმეს უყურებდეს ვითარცა წმინდა საგანს, რომლის წინაშე ყოველივე ქვენა გრძნობანი უნდა დადუმდეს. ვიმეორებთ, ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს საქმეთა რიგიანად წარმოება, ყველას იმის სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ ყოველივე საზოგადო საქმე რიგიან მოხელეთა ხელში ჩავარდეს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ დიდი, შეუწყნარებელი დანაშაულობაა, როცა ადამიანი საზოგადო საქმეს ფეხითა სთელავს და მოძმეთა საჭიროებას არავითარს ყურადღებას არ ათხოვებს.

ზემოდ ვთქვით, რომ ქუთაისში არც ერთმა ისეთმა დასმა არ იჩინა თავი, რომელსაც აზრად უნდა ჰქონდეს მხოლოდ პატიოსა.

# ფელეტონი

## სამოგაო ამბავი

**შჩედრინისა**

(დასასრული*)

მამა პავლეს ქადაგება ყველაზედ ყურადღებით უფრო პატარა სერგენამ მოისმინა, მცირე მემამულეს მარიამ რუსლანცევის ათის წლის შვილმა. ქადაგების დროს სერგოს რამდენჯერმე გულზე ცეცხლი მოეკიდა, თვალები ცრემლით აევსო, ლოყები გაუწითლდა, ტანი და კისერი გადეხარა მღვდლისკენ, თითქო უფრო კარგად უნდა გაიგონოს იმისი სიტყვები, ან არა და—უნდა შეეკითხოს რასმეო.

მარიამი ახალგაზდა ქვრივი იყო და ძალიან მცირე მამულის პატრონი. მარიამის სოფელში სულ შვიდი მამულის-პატრონი იყო და არც ერთს მათგანს დიდი მთა და ბარი არა ჰქონია. მარიამის ქმარი ყველაზე ღარიბი იყო ამათში და, თუ ცხოვრობდა როგორმე, მიზეზი ის იყო, რომ სამსახურით შეიძინა ორიოდე გროში.

მარიამმა იმ დროს შეირთო ქმარი, როცა ბატონ-ყმობა კაი ხნის გადავარდნილი იყო კიდეცა. არ გაუვლია ამის შემდეგ ერთს წელიწადსაც, რომ მარიამი დაქვრივდა. ცხენი გაუფრთხა იმის ქმარს რაღაზედაც, ტყეში გადმოვარდა და თავი გაიტეხა ხეზე. გაიარა ორმა თთვემ. ახალგაზდა ქვრივს შვილი მიეცა.

მარიამი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. ხვნა-თესვას თავი დაანება. მიწები გლეხ-კაცებს მისცა საღალოდ, თავად მხოლოდ ერთი პატარა ნაჭერი მიწა დაინარჩუნა, ერთი ბაღი და საბოსტნე ადგილი. ერთი ცხენი ჰყვანდა სახლში და სამი ძროხა. მოსამსახურედ ედგა თავისი ნაყმევი გამდელი და იმისი პატარა ქალი, და გამდლის ვაჟიშვილი თავის ცოლითა. გამდელი ყურს უგდებდა ოჯახსა და სერგენას. იმისი ქალი მზარეულობასა სწევდა, ვაჟიშვილი და იმისი ცოლი კიდევ საქონელს უვლიდნენ, წვრილფეხსა და ქულფათსა ზრდიდნენ, ბოსტანსა და ბაღზე ეჭირათ თვალი.

მარიამის ოჯახი ცხოვრობდა თავისათვის. საიმისო გაჭირებას არა ჰგრძნობდა; შეშა, პური და, რაც პირველი იყო ოჯახში, საყიდელი არა ჰქონდა; რაც საყიდელი იყო კიდევ, იმისი სურვილიც-კი არავისა ჰქონდა. ყველა ამას ამბობდა: რა გვიჭირს, ისე ვცხოვრობთ, ასე გვგონია სამოთხეში ვართო! თვით მარიამსაც გადაავიწყდა, რომ ასეთის ცხოვრების გარდა, სხვა ცხოვრებაც არის ქვეყანაზედ. ამ სხვა ცხოვრებისათვის მარიამს მხოლოდ ოდნავ მოეკრა თვალი ინსტიტუტის ფანჯრებიდამ, როცა ქალაქში თურმე სწავლობდა. მარიამს ახლა არაფერი არ აწუხებდა პატარა სერგოს მეტი, ისიც მხოლოდ ხან-და-ხან. წინად სერგოც კარგად იყო, იზრდებოდა თავისთვის, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, რა-კი შვიდი წელიწადი შეუსრულდა, ცოტა არ იყოს, სისუსტე დაეტყო: ყველაფერი იმაზედ ცუდადა მოქმედებდა.

სერგო ძალიან გაგებული, მიმხვედრი ყმაწვილი იყო, თუმცა ამასთანავე ავადმყოფივით სახე-კი ჰქონდა და სუსტის ჯანის პატრონი სჩანდა. შვილის წლიდამ დააწყებინა დედამ წერა-კითხვის სწავლება. მერე, როცა ათის წლისა შეიქმნა, მამა პავლეც იმისი მასწავლებელი გარდა. მოახლოვდა დრო გიმნაზიაში მიცემისა, მაგრამ დედას არ ემეტებოდა შვილი, თუმცა ჰგრძნობდა, რომ უსწავლელსაც ვერ დასტოვებდა. წაჰყოლოდა თან ქალაქში და, შეუძლებელი იყო, რადგან რაღაც საცოდავი ორმოციოდე, სამოცი თუმანი შემოსავალი ჰქონდა წელიწადში, სოფელშიაც ძლივსა ჰყოფნიდა და ქალაქში რას ეყოფოდა. მეტი ღონე არ იყო, მარიამმა მოსწერა თავის ძმას წიგნი და სთხოვა, შენთან უნდა იყოლიო ჩემი შვილიო. იმისი ძმა ქალაქში სამსახურში იყო და რაღაც უმნიშვნელო თანამდებობას ასრულებდა.

დაბრუნდა შობა დღეს სერგო საყდრიდამ, დაიწყო ჩაის სმა, მაგრამ მაინც კიდევ ვერ დამშვიდდა.

— დედაჯან, იმეორებდა ყმაწვილი,—მე სიმართლით მინდა ვიცხოვრო!

— დიაღაც, ჩემო ტრედო, სიმართლე პირველი საქმეა ქვეყანაზე, ამშვიდებდა აღელვებულს ყმაწვილს დედა. შენისთანა პატარამ სიმართლით უნდა იცხოვროს, მაშ როგორა?

— არა, მე მაგას არ ვამბობ. მღვდელმა სთქვა, რომ ვისაც სიმართლით უნდა იცხოვროს, უნდა ექომაგებოდეს, იფარავდეს თავის მოყვასსაო. აი ასე უნდა ცხოვრება და მე ასე როდის ვიქცევი? იმ დღეს ლიყიან ვანესა ძროხა გაუყიდეს და აბა როდის წავექომაგე! შევყურებდი მხოლოდა და ვტიროდი.

— აი ეგ ტირილია, შვილოჯან, შენი სიმართლე, შენი პატარაობის სიმართლე, სხვა ან-კი რა შეგეძლო, რა უნდა მოგეხერხებინა? ლიყიან ივანეს კანონიერად გაუყიდეს ძროხა ვალშია. კანონი ეგრე ბრძანებს, შვილო, ყველამ თავისი ვალი უნდა გადაიხადოს.

— დედაჯან, ვანეს არ შეეძლო გადახდა. განა არ უნდოდა, მაგრამ რომ არ შეეძლო?! ჩვენი გამდელიც იმას არ ამბობს, ამ სოფელში მაგაზე ღარიბი და საცოდავი არავინ არისო. აბა აქ სად არის მართალი?

— გეუბნები, შვილო, რომ კანონია და კანონი ყველამ უნდა აასრულოს. თუ ხალხს ერთად უნდათ ცხოვრება, ყველამ თავისი მოვალეობაც უნდა შეასრულოს. შენ შენს სწავლაზე იფიქრე, შვილო, ისა სჯობიან—შენი სიმართლე ეს არის. შეხვალ გიმნაზიაში, კარგად ისწავლი, კარგად მოიქცევი და მაშინ ყველა იტყვის, რომ სიმართლითა ცხოვრობსო. მე არ მომწონს, რომ ტყუილა-უბრალოდ შფოთავ და ჰღელავ ხოლმე. რაც უნდა გაიგონო, რაც უნდა დაინახო, მაშინვე გულში უნდა გეცეს და ცეცხლივით წაგეკიდოს. მღვდელი საყოველთაოდ ამბობდა; ეკკლესიაში სხვაფრივ ლაპარაკი ან-კი როგორ შეიძლება, შენ-კი ამდგარხარ და შენზედ გადაგილია. ილოცე მოყვასთათვის, შენ ესეც გეყოფა და ღმერთიც მეტს არას მოგთხოვს.

*) იხ. „ივერია“, № 272.

ნი საზოგადო სამსახურით. ამით ისკი არ უნდა გვეთქვა, ვითომ ქუთაისში არ იყვნენ ისეთნი მოღვაწენი, რომლებსაც გულს არ უკლავდეს იქაური გარემოება. არა, ამ გვარნი მოღვაწენი იქ უსათუოდ უნდა იყვნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავი ვერ გამოუჩენიათ, რადგანაც პატიოსანი ადამიანი ზოგჯერ ვერ შეებრძოლება ანგაარებას და ბინძურებას, რათა თვითონვე არ გაისვაროს და იძულებული არ იქმნეს, მიჰმართოს იმ ღონეს, რა ღონესაც ხმარობენ ისინი, ვისთვისაც კისრამდე ტალახში სვლა საამური და სასიამოვნოა.

ის სენი, რომელიც ჩვენ ქუთათურთა ცხოვრებაში აღვნიშნეთ, მართალია, მარტო იმათი სენი არ არის და თუ იმაზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, მხოლოდ იმისთვის, რომ ის სენმა ამ უკანასკნელს დროს ძლიერ იჩინა თავი ქუთაისში.

## ახალი ამბავი

*** სადღეისოდ დანიშნული, ქართულს თეატრში წარმოსადგენად, დრამა „ორი ობოლი" გადაუდვიათ, როგორც შევიტყვეთ, ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის ავადმყოფობისა გამო. ამის მაგიერ დღეს წარმოდგენილი იქნება გერმანულიდამ გადმოღებული დრამა „შეშლილია!", რომელშიაც უმთავრეს როლებს აასრულებენ ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი და ვ. აბაშიძე. ითამაშებენ აგრეთვე რაფ. ერისთავის ვოდევილს „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ". ვოდევილში უმთავრეს როლებს ითამაშებენ ბ-ნი აბაშიძე და ქ-ნი ლეონიძისა.

*** ამ დღეებში მეორედ დაიბეჭდა ქართულს ენაზედ შექსპირის დიდებული დრამა „ჰამლეტი", პირდაპირ ინგლისურიდამ გადმოთარგმნილი ბ-ნ ი. მაჩაბელის მიერ. წიგნი ძალიან კეკლუცად არის დაბეჭდილი და ღირს ექვსი შაური.

*** ტფილისის წიგნის მაღაზიებში დარიგდა გასაყიდად მეოთხე წიგნი, გამოცემული წელს „ივერიის" რედაქციის მიერ. წიგნი შეიცავს ფშაურ ლექსებს, რომელიც შეჰკრიბა ბ-ნმა დავით ხიზანაშვილმა და რომელსაცა ვბეჭდავდით გაზეთის ფელეტონებში ამ წელსა. წიგნის ფასი ორი აბაზია.

*** შაბათს, 26 დეკემბერს, მოსამსახურე იმერელი, რომელსაც ხელში ეჭირა საბანი და ლეიბი, ცხენ-მავალაში ჩაჯდომას აპირებდა. სთხოვა კონდუქტორს, რომ შეეჩერებინა ვაგონი, მაგრამ კონდუქტორმა ყურადღება არ მიაქცია. იმერელი შეახტა ვაგონს ასასვლელად, მაგრამ ვერ მოჰკიდა ხელი და გაქანებულმა ცხენ-მავალამ გაისროლა კაცი და მიწაზე დასცა. წაქცეულმა თავი გაიტეხა და ხელი იღრძო.

*** ვილაც ვიატკელი იაკობ ჩუბუკოვი ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში რაღაც საკომერციო საქმეების დასაწყებად, მუშტაიდიდგან ჩაჯდა თურმე ცხენ-მავალაში 26-ს ამ თვეს და წამოვიდა კუკიისაკენ ქალაქის დასათვალიერებლად, მაგრამ შუა გზამდისაც ვერ მოაღწია: შიგ ცხენ-მავალაში დალია სული. პოლიციის მეცხრე ნაწილში მიიტანეს გარდაცვალებულის გვამი და ჯიბეში მარტო 10 მან. ჰქონდა.

*** გორი: დეკემბრის 26-ს გორის კოგზაძეზე ერთს სახლში თავი ჩამოირჩო გზის ხელოსანმა ცუკერმა. ცუკერი, როგორც ამბობენ, კარგი საამხანაგო კაცი იყოო, პატიოსანი, უანგარო, თავის საქმის წმინდად აღმასრულებელი, მაგრამ ზედმეტი თურმე სასმელებს ეწყობოდა. 26-ს გასშმად სხვასთანა ყოფილა, მისულა თავის ოთახში, საწოლის ტახტის ბოლოზე თოკი ჩამოუბავს, გაუყვია შიგ თავი, დაუწევია კისრით, ფეხები იატაკზე გაურთხია და დამრჩვალა. დილით ცოლ-შვილს უნახავს და გამოუცხადებია.

*** იქიდამვე: შობა ღამეს აქ მცირე თოვლი მოვიდა, მაგრამ აგრე რიგად-კი არა ცივა. საზოგადოდ წელს აქ ძალიან თბილი ზამთარია. თბილი ზამთარი და უველაფრის სიიავე ხელს უმართავს აქაურებს სადღესასწაულოდ დროს გატარებაში.

*** იქიდამვე: გორის მაზრის წინამძღვარმა, ბ-ნმა სულხანიშვილმა, დანიშნა თავად-აზნაურების მხრივ გორის დედათა პროგიმნაზიის რჩევის წევრად, ნაცვლად გარდაცვალებულის ალ. გვალიაშვილისა, თ. გასიდ მაჩაბელი. ბ-ნი წინამძღვარი მეტად წინ-დახედულად მოიქცა ამ არჩევანში. სრული იმედი გვაქვს, რომ როგორც უოველთვის ერთგულად და საუვარულით ეკიდებოდა პროგიმნაზიის საქმეს, ისე კვლავაც მოეკიდება.

*** ტირძნისი (გორის მაზრა): კარგა ხანია, რაც გორის მაზრის სოფ. ტირძნისში ბ-ნ ივ. სულხანიშვილის მეცადინეობით იმისავე მამულში გამართა ქარხანა სახამებლისა. ამ ცოტა ხანებში ქვაბი გამსკდარა და მრონდე კაცი ამ საქმისა გაფუჭებულა და მომკვდარა. თქმა აღარ უნდა, რომ ამ ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პატრონისათვის, აგრეთვე ხალხისთვისაც და ამიტომ უეჭველია ბ-ნი სულხანიშვილი არ შეუშინდება ხსენებულს შემთხვევას და ჯეროვანს განწყობილებას მისცემს თავის ქარხანას.

## რუსული თეატრი

არკაზანოვები, დრამა 5 მოქმედებად, თხზ. თ. სუმბათაშვილისა.

გუშინ-წინდელს წარმოდგენაზედ სიამოვნებით ვილაპარაკებთ, რადგან ამ წარმოდგენაზედ ყველაფერმა თითქო განგებ შეუწყო ერთმანერთს ხელი, მხარი მისცა: წარმოსადგენად ამორჩეული პიესაც კარგი იყო, არტისტებიც მშვენივრად თამაშობდნენ და საზოგადოებაც ბევრი დაესწრო — თეატრი თითქმის სავსე იყო.

წარმოადგინეს პიესა სუმბათაშვილისა — „არკაზანოვები", ხუთ-მოქმედებიანი დრამა. დრამის დედა-აზრი ის არის, რომ თუ კაცი პატიოსანია, გალარიბებას, შერცხვენას, ოჯახის დარღვევას მოითმენს ყოველ გვარ დამცირებას აიტანს, საპატიმროშიაც-კი დაიტუსაღებს თავსა, ხოლო თავის პატიოსნებას, სინიდისს-კი არაფის შეალახვინებს, არავის შეაგინებინებსო.

პიესა დიდის ცოდნით და სასცენოდ არის დაწერილი, დედა-აზრი მშვენივრად არის თავით-ბოლომდე გატარებული, ხოლო, რასაკვირველია, არც სრულიად უნაკლულო და უხინჯოა. ორი-სამი ადგილები შეგხვდებათ ისეთი, რომელიც მომქმედთა ხასიათებსა და აღწერილობას ეწინააღმდეგება. მაგალითებრ, კეთილშობილის ოჯახის არკაზანოვების პატიოსნება და სათნოება ძალიან გადაჭარბებით არის მოხსენებული; უკანასკნელს მოქმედებაში კიდევ და-ძმის ლაპარაკი, როდესაც ძმა ჰკიცხავს დასა, ცოტა ეხამუშება მსმენელის ყურსა. ერთს ალაგას კიდევ შემდეგი უაზრობაა: ნავარიგინი ეუბნება არკაზანოვს, — ჩვენ ისეთი სხვა-და-სხვა წრის კაცები ვართ, რომ წარსულშიაც გვძულდა ერთმანერთი, ეხლაც მტრები ვართ და ვერც მომავალში მოვურიგდებით და დავუახლოვდებით ერთმანერთსაო. ამას ამბობს და თითონვე-კი იმას არის მოწადინებული, რომ მოვრიგდეთ როგორმეო, ჩვენს მეგობრობას ნუ დავარღვევთო. საზოგადოდ-კი პიესა მაყურებელზე საშინლად მოქმედებს, საზოგადოებაში ბევრს მოადგა ცრემლი, ბევრი გაიტაცა პავლოვის ქალის მშვენიერმა თამაშობამ.

არტისტებზე არა ითქმის-რა, ყველანი კეთილ-სინიდისიერად მოჰკიდობდნენ თავიანთ საქმესა, რიგიანადა თამაშობდნენ. განსაკუთრებით კარგი იყო პავლოვის ქალი არკაზანოვის ცოლის როლში; საზოგადოება ყოველ წუთს გამოიხმობდა ხოლმე ამ ნიჭიერსა და თავის საყვარელს არტისტ-ქალს. ისეთის სინამდვილით, ისეთის სისწორით არდგენდა ქ-ნი პავლოვისა, რომ ხშირად დაავიწყებდა ხოლმე მაყურებელს: თეატრში ვარ, თუ ყველა ეს მართალი, ჭეშმარიტი ამბავიაო. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პავლოვის ქალი თითქმის ყოველ საღამოს იღებს მონაწილეობას სხვა-და-სხვა პიესებში და უმთავრესი როლებიც ეძლევა ხოლმე, უნდა ვაღიაროთ, რომ ქ-ნი პავლოვისა მართლა დიდის ნიჭის პატრონი არტისტი-ქალია.

კარგი იყო აგრეთვე ფორკატიც; ზოგიერთს ადგილას ნამდვილი და უყალბო გამომხატველი იყო იმ ადამიანის ტანჯვა-დამცირების ხშირად მნახველის კაცისა, რომელსაც ამის გამო გული გაქვავებული და გაკლდევებული აქვს და ამ გულს ველარც ოდესმე შეძლებულის და კეთილშობილის ოჯახის დამცირება, ველარც ცრემლი და ადამიანის ტანჯვა ვერ აამგერებს, თანაგრძნობას ვერ გააწვევინებს. იმას ყველაფერში თავისი ანგარიში უდგას თვალ-წინ, ფულის ანგარიში, და ამ ანგარიშისათვის კაცის სიცოცხლეც არაფრად მიაჩნია.

მაიეროვისა კარგადა თამაშობდა, ხოლო ხმა არ უვარგოდა, ხმა არა ჰქონდა როლის შესაფერი. კარგი იყო აგრეთვე ვოლხოვსკოი, მშვენივრად აასრულა როლი გულ-კეთილის, მეგობრისათვის თავ-გადადებულის ექიმისა, რომელიც ყველას ნუგეშინის მცემელია, ასაფერს დაიშურებს არკაზანოვებისათვის, იმის ოჯახი თავის ოჯახად მიაჩნია, იმათი პატიოსნება—თავის პატიოსნებად. მოხუცი ცხოვრების სიმწარეს და ავ-კარგს გამოვლილია, ამბობს, რომ ამ ქვეყნად ბოროტნი ბევრნი არიან, ხოლო კეთილნი ცოტა და ამიტომ ჯერ-ჯერობით კისერი უნდა მოვიხაროთ, უნდა დავმორჩილდეთ ნავარიგინისთანა კაცების გაიძვერობასაო.

კარგად წარმოადგინა ლილინმა ყოვლად თავზე და ნამუსზე ხელ-აღებულის, პირ-ჩამორეცხილის კაცის როლი. ფადეევსაც არა უჭირდა-რა...

თეატრში ძალიანა თბილოდა, ასე რომ ზოგიერთნი სიცხისაგან ბუფეტში გადიოდნენ გასაგრილებლად...

ორ-ანი

---

სერგომ მაინც თავისი არ დაიშალა, გაიქცა სამზარეულოში, საცა მოსამსახურენი ჩაისა სვამდნენ დღესასწაულების გამო. სტეფანიდა მზარეული დიდს ფაცა-ფუცში იყო და ვიხისა ჰხარშავდა. ჰაერი საჭმელების სუნით იყო გაჟღენთილი.

— გადიაჯან, მე სიმართლით ვიცხოვრებ! უთხრა სერგომ გამდელსა.

— როდის აქეთია, ყმაწვილო, მაგ ჭკუაზედ დადექი? — ჰკითხა ხუმრობით გამდელმა.

— არა, გადიაჯან, სიტყვა მივეცი ჩემს თავს! თავს მოვიკლავ მართლისათვის და უსამართლობას-კი არ მოვითმენ, არ დავემორჩილები!

— შენ-კი გენაცვალოს შენი გამდელი, ეგ რაები მოგსვლია თავში?!

— შენ ვერ გაიგონე განა, რა სთქვა საყდარში მღვდელმა? მართლისათვის თავი უნდა დასდოს კაცმაო! ყველა მოვალეა ბრძოლად გადიოდეს მართლისათვის!

— საყდარში სხვა ან-კი რა უნდა სთქვან მაშა! საყდარი იმისი საყდარია, რომ მართალი ამბები უნდა მოისმინო, მაგრამ შენ ჯერ პატარა ხარ. მოსმენით-კი მოისმინე, მაგრამ თან თვალიც-კი გაახილე.

— მართალს ნუ ეხუმრებითო, სთქვა გიგოლა მებაღემ. — ვისაც სიმართლით უნდა ცხოვრება, თვალებს ფხიზლად უნდა აცეცებდეს აქეთ-იქითაო.

— რადა ესვამთ ახლა ჩაის მე და დედაჩემი სახლში და თქვენ-კი სამზარეულოში? განა ეს სიმართლეა? — ამბობდა ცხარედ პატარა სერგენა.

— სიმართლეა თუ არა, ეგრე კია ათადან-ბაბადან დაწყობილი-და. ჩვენ მდაბიო ხალხი ვართ, სამზარეულოშიაც არა გვიშავს-რა. ყველა რომ სახლში გამოიჭიმოს, სად წავა, მაგდენს ხახლს ვინ ააშენებდა.

— შენ-კი, ჩემო სერგენა, აი რას გეტყვი, ჩაერია კვლავ ლაპარაკში გიგლა მებაღე: — როცა გაიზრდები, საცა გინდა, იქ დალიე ხოლმე ჩაი, გინდა სახლში, გინდა სამზარეულოში. ჯერ-კი მანამ პატარა ხარ, დედაშენს მოუჯექი გვერდზე, ამაზე კარგს სიმართლეს შენს ხანში კაცი ვერ იპოვის. აი საცაა მღვდელიც მოვა სადილად და ისიც მაგას გეტყვის. ჩვენ რას არ ვაკეთებთ: საქონელსაც ვუვლით, მიწასაც ვჩიჩქნით და შიგ ჩავბღუვით, მაგრამ ბატონებიც ხომ ასე არ მოიქცევიან! ასე კახლავთ, ჩემო სიცოცხლევ!

— და ეგ ხომ სიმართლე არ არის!

— ჩვენებურად-კი ეგ არის სიმართლე: თუ ბატონი კეთილია და ვებრალებით, იმათი სიმართლე ეს არის; და თუ ჩვენ გულ-მოდგინედ ვემსახურებით ბატონებსა, არ ვატყუებთ, ვცდილობთ — ჩვენი სიმართლე ეს არის. იმისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ ყველა თავის კვალობაზედ თავისებურს მართალს მისდევს.

ჩამოვარდა სიჩუმე. სერგოს უნდა ეთქვა რამე, მაგრამ გიგოლას გულკეთილმა ლაპარაკმა თითქო ჰაერში ჩააგდო.

— ქალბატონის სამშობლოში, დაიწყო გამდელმა, ერთი მემამულე რაზსოშნიკოვი ცხოვრობდა. ცხოვრობდა თავისთვის, როგორც წესი და რიგია; მერე უცებ მოინდომა, სიმართლით უნდა ვიცხოვროო. რა ქნა ახლა ბოლოს? — მიჰყიდ-მოჰყიდა მამული, ფული გლეხებს დაურიგა და თვითონ წავიდა სახეტიალოდ სხვა ქვეყნებში. ის იყო და ის: თვალით აღარ გაუცდიათ ის კაცი ჩვენში.

— ოჰ, გამდელო, რა კაცი ყოფილა!

— იმისი შვილი-კი პეტერბურგში იყო და იქა მსახურებდა, — დაუმატა გამდელმა.

— მაგრამ მამულები მიჰფანტა-მოფანტა, ქონება გლეხებს დაურიგა და შვილი-კი ცარიელზე დასვა. აბა ახლა შვილსა ჰკითხეთ, კარგია თუ არა მამისებური მართალი! — სთქვა გიგოლამ.

— შვილი განა ვერ მიხვდა, რომ იმის მამა სიმართლით მოიქცა? — იკითხა სერგომ.

— კიდეც ეგ არის, რომ ვერ მიხვდა და დავა დაიწყო. მე ამ სამსახურში ჩამაბა და სილარიბით სული ამომდისო.

— სამსახურში ჩამაბა... სილარიბით სული ამომდის... გაუგებრად იმეორებდა სერგო გიგოლას ნათქვამს და ვერ მიხვედრილიყო, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი.

— მეც მახსოვს ერთი ამბავი — განაგრძო გიგოლამ: — ერთმა ჩვენმა სოფლის გლეხმა, გვარად მარტინოვმა, ფული იპოვა რაზსოშნიკოვისაგანა. რაც ქონება შეიძინა, სულ გაჰყიდა, გლეხებს დაურიგა, აიღო მერე გუდა და წავიდა, ლამე, ჩუმად, ვინ იცის სადა. მაგრამ ბილეთი-კი დავიწყებოდა და ერთის თვის შემდეგ ისევ უკან-კი დააბრუნეს ეტაპითა.

— რადა? განა ცუდი რამ საქმე ჩაიდინა? — იკითხა სერგომ.

— ცუდი რამ ჩაიდინა თუ არა, მე მაგას არ ვამბობ; იმას ვამბობ, რომ სიმართლით ცხოვრება თუ გინდა, ფრთხილად უნდა იყო, თვალი უნდა კარგად გეჭიროს ყველაფერზე. უბილეთოდ არ იქნება ხეტიალი — აი ეს არის საქმე. მაგრე რომ იყოს, ყველა აქეთ-იქით გაიფანტება, მუშაობას თავს დაანებებს და სულის-დგმა აღარ იქნება მერე მაწანწალა და მოხეტიალეებისგან.

მოვიდა სადილის დროცა. სადილად ეწვივნენ სერგოს დედას მამა პავლე და იმისი მეუღლე.

— მე, მამაო, სიმართლით ვიცხოვრებ! მართლისათვის საბრძოლველად გავალ! — მიესალმა სერგენა სტუმრებსა.

— ოჰო, ძალიან მეომარი ყოფილხარ! ჯერ დედამიწას არ ასცილებიხარ და ეხლავე ბრძოლაზე ჰფიქრობ! — გაიხუმრა მღვდელმა.

— თავი მომაბეზრა; დილას აქეთია, სულ ეგ აუჩინია, — სთქვა მარიამმა.

— არა უშავს-რა. ილაპარაკებს, ილაპარაკებს და დაავიწყდება.

— არა, არ დამავიწყდება! — იძახდა თავისას სერგო: — თქვენ თვითონ ამბობდით წეღან ეკკლესიაში, რომ სიმართლით უნდა იცხოვროს კაცმაო!..

— ეკკლესია იმისი ეკკლესია, რომ სიმართლეს უნდა ჰქადაგებდეს. თუ მე, ვითარცა მოძღვარი, ჩემს თანამდებობას არ შევასრულებ, თვით ეკკლესია მოაგონებს კაცს მართალსა. უჩემოდაც ყოველი სიტყვა, რომელიც ეკკლესიაში ითქმის, მართალია. მარტო ურწმუნო და გულ-გატეხილი კაცი თუ არ შეისმენს ამ მართალსა... ისე ცხოვრებაში-კი უცოდველი არავინ არის.

— მაშ როგორ ვიცხოვროთ.

— ცხოვრებით კი მაინც სიმართლით უნდა ვიცხოვროთ. როცა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დაბა თიანეთი**, 15 დეკემბერს. დღეს ჩვენს დაბაში არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა: დილის ათს საათზედ მიუვარდა აქაურს გლეხს დ. ა. გაცოფებული ძაღლი და რამდენსამე ალაგს დაჰკბინა; ძაღლი შემდეგ ხან აქეთ ეცა, ხან იქით თიანეთში და სოფლელებს ერთი ალიაქოთი აატეხინა; ბოლოს როგორც იყო მოჰკლეს თოფით.

ცოფიან ძაღლისაგან დაკბენილი გლეხი და იმისი სახლობა სასო-წარკვეთილებაში ჩავარდნენ; თუმცა ყოველ ჟამს მოელიან საზარელ ჭირის ნიშნების გამოჩენას, მაგრამ მაშველი ჯერაც არ საიდგან უჩანთ ამ საბრალოებს. დახელოვნებულ ექიმამდე მიღწევა სიღარიბის გამო არ შეუძლიანთ. სოფლელი ექიმები ჩვენს მაზრაშიაც მოიპოვება და თუ არც ერთი შემთხვევაც არა ყოფილა ჩვენს მაზრაში, რომ ცოფიან ძაღლისაგან დაკბენილი კაცი გაცოფებულიყოს; ეს აქაურების აზრით იმ სოფლელ ექიმების ოსტატობის საქმეა. სოფლელი მკურნალები სწამლობენ ახლად დაკბენილს და ვნახოთ, რა იქნება. ისინი შიშობენ, ძაღლი დაკბენილია და „ვაითუ წამალმა არ გასჭრასო".

კახეთის გზის მუშა ამ თთვის პირველ კვირაში დაიშალა. სათხრელი ბევრი აღარ დარჩა, ქვიშის ყრას გაზაფხულზედ შეუდგებიან. ამ გზის კეთებაში მხნეობა გამოიჩინეს სიღნაღის მაზრის მცხოვრებთა; ამათ იმ დროს გაათავეს თავისი წილი სამუშაო, როცა სხვა მაზრის მცხოვრებლებს ჯერ ნახევარიც არ დაესრულებიათ.

თითქმის კვირა არ გავა ისე, რომ გაზეთ „ივერიაში" არ წავიკითხოთ წერილი ივრის ხეობიდამ. ამ წერილებში მომეტებული ადგილი მუღანლოელ თათრების მიერ ჩადენილ ავაზაკობის აღწერას უჭირავს. ეს თათრები არც ჩვენს მშვიდობიანს მაზრას უსვენებენ; არამც თუ არ უსვენებენ, ძლიერ საგრძნობელ ზარალსაც აძლევენ. იმ ადგილებიდგან, სადაც-კი ეს თათრები სწვდებიან, მაგ ერწოში და ბოჭორმის საზოგადოებაში, ამ ერთის წლის განმავლობაში ორმოცამდე სული შინაური პირუტყვი მოუპარავთ. საზოგადოდ მუღანლოელ თათრებსა და ახტელებს კახეთში ერთმანერთ შორის კავშირი აქვთ შეკრული საბოროტო-მოქმედოდ; ერთმანერთთან შეხვედრისა და ერთმანერთში მიმოსვლის გასაადვილებლად აქვთ სოფ. გომბორის ქვევით, გზის პირას, გაკეთებული ბინა. თვით ეს ბინა ადგილობრივ ეკუთვნის ყველა აქაურებისაგან კარგად ცნობილს ავაზაკს ქალბალაი-როსტომ-ოღლის. ეს ბინა გზა-ტკეცილის პირზეა და ჩრდილოეთის მხრივ შეუვალი ტყე აქვს; კახეთისა, ერწოსა და სხვა ახლო-მახლო სოფლებში მოპარულ საქონელს თურმე ამ ტყეში ჰმალავენ, ვიდრე გაასაღებენ, ანუ მუღანლოში გადაიყვანენ. ამ ბინის მოშლა და ქალბალაის გომბორიდგან გაძევება ფრიად საჭიროა, თორემ უამისოდ აქაური მცხოვრებლები ვერ ამოისუნთქავენ თავისუფლად. როსტომ-ოღლისა ჰყავს თავის ბინაში 5—6 თავის ხელობის თათარი დაყენებული. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ დაკარგულ საქონლის პატრონი მივა ამ ბინაზედ, მაშინ ქალბალაი დაუსევს თათრებსა და ეს უკანასკნელები დაუშენენ ქვებსა საქონლის მძებნელსა და თავ-ბედის წყევლით უკანვე გამოაბრუნებენ. თუ მოხელე ან სხვა ვინმე ძალის მქონე მიჰმართავს ამ ბინას, მაშინ თვითონ „აღა" ქალბალაი აძლევს პასუხსა, სხვა თათრების ნაპარავ საქონელს უფრო შორს გადაამალვინებს და ამით მდევარს გზა-კვალს უბნევს.

ხ.

## ამბავი რკინის გზიდამ *)

22-ს ამ თთვისას დიდად საყურადღებო ამბავი მოხდა ჩვენს რკინის გზაზედ. ალიათის და სანგაჩალის სადგურებს შუა გაქანებულ მატარებლიდგან გადმოხტნენ და გაიქცნენ შებორკილნი ოც-და-ათი ტუსაღ-თათარი. საქმე ამ გვარად იყო.

21-ს ამ თთვეს ტფილისიდგან გაგზავნეს საგანგებო სატუსაღო ვაგონით სამი ტუსაღი; მათ უდარაჯებდა რვა ჯარისკაცი. ეს ტუსაღები გადმოსხეს ქურდამირის სადგურზე და სამაგიეროდ ჩასვეს ოც-და-ათი ტუსაღი; ამათში ერთი მოხუცებული თათარი იყო და ერთიც თოთხმეტ-თხუთმეტის წლის ყმაწვილი; დანარჩენი სულ ახალგაზდა კაცები იყვნენ, და ფეხებში ყველას ბორკილები ჰქონდა გაყრილი, მხოლოდ ხელები-კი თავისუფალი ჰქონდათ. ალიათამდის მშვიდობით გაიარეს.

ალიათს რომ გასცილდნენ, ტუსაღებმა ტუტუნი შექმნეს, როგორც უფროსმა დარაჯმა—ჯარის-კაცმა ილაპარაკა. შემდეგ ერთმა მოინდომა საჭირო ალაგს გასვლა და ამას თან გაჰყვა ერთი ჯარის-კაციც; ორის წუთის შემდეგ მეორემაც გასწია კარებისაკენ, მაგრამ ჯარის-კაცმა გააჩერა და უთხრა: ჯერ ის შემოვიდეს და მერე შენ გადიო. თათარმა ყურიც არ გაიბერტყა. ტუსაღები წამოცვივდნენ ერთბაშად და გამოცვივდნენ ვაგონიდგან. ვაგონში ოც-და-ათის ტუსაღისაგან დარჩა მხოლოდ ორი: მოხუცი და პატარა ბიჭი. პირველ ტუსაღის გადახტომისათანავე კონდუქტორმა, დიმიტრი თოფურიამ, შენიშნა ესა, მივარდა ვაგონებზედ გაბმულ თოკს, რომლითაც მემაშინეს აცნობებენ ხოლმე გაჩერებას, და ჩამოჰკრა, რომ მატარებელი გაჩერებულიყო. მემაშინე უცბად ვერ მიხვდა და გაჩერებამდის სამი ვერსტი გაირბინა. ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ ალაგს თავ-დაღმართია და მატარებელი 40—50 ვერსტს მიდის საათში; ამიტომაც იმის გაჩერება ძალიან ძნელია. ეს ამბავი ისე უცბად მოხდა, ისე სწრაფად გადაცვივდნენ ტუსაღები, რომ ხალხი დროზე გონს ვერ მოვიდა. ნათელი დღე იყო, ნაშუადღევი; ხალხი ვაგონებიდგან უყურებდა, როგორ გარბოდნენ ტუსაღები ხუთი ერთად, ექვსი ერთად, ზოგნიც ცალკ-ცალკე. მატარებლით მიმავალი ხალხი ძალიან შეშინდა და თხოულობდა, ნუ გაგვაჩერებთ, სადგურამდის მიგვიყვანეთო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ სწორედ დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობა უფროსის კონდუქტორისა, ალექსანდრე კალანდარაშვილისა. გაჩერდა თუ არა მატარებელი, კალანდარაშვილი გადმოხტა, იქვე მწყემსი ცხვარსა მწყესიდა, მივარდა მწყემსს, ხელიდგან ჩომბახი წაჰგლიჯა და გამოეკიდა იმ თავ-გაწირულს ტუსაღებს. ხალხი უყვიროდა კალანდარაშვილს, ნუ მისდევ, მოგკლავენო, მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა და ჩომბახით ხელში სამი ვერსტი გაირბინა, წამოეწია ორს თათარს, რომლებიც ზღვისაკენ მიეშურებოდნენ, რადგანაც იქ საშინელი მაღალი ჩალა-ბალახი იცის და თუ იქ კაცი ჩაიმალა, ძალიან ძნელი საპოვნელია, და შეჰკივლა—გაჩერდითო; თათრებმა რა გაიგონეს ხმა, უფრო გაუჩქარეს. როგორც იყო კალანდარიშვილი წამოეწია თათრებს, დასცხო ერთს ჩომბახი და გააგორა, მერე—მეორეს და ისიც იქვე მიაწვინა; დაადგა თავზედ კეტით და უთხრა: არ გაინძრეთ, თორემ ეხლავე დაგხოცავთო; ამასთანავე ბაირაღით აჩვენა, მატარებელი უკან დაეწიათ ტუსაღების ჩასასხმელად. თუმცა ხალხი ძალიან წინააღმდეგი იყო, მატარებელი უკან დასწიეს, ჩასხეს კალანდარაშვილის დაჭერილი ორი ტუსაღი; გზის მეორე მხარესაც იპოვეს სამი ტუსაღი ფეხებ-დამტვრეულები გადახტომის დროს, ისინიც შიგ ჩასხეს და მატარებელმა გასწია ბაქოსაკენ. მეორე დღეს, საძებნელად რომ გაგზავნეს ყაზახები, თხუთმეტი დამტვრეული ბორკილი ეპოვნათ და ორი დამტვრეულ-დაჩეჩქილი ტუსაღიც; დანარჩენები, არ იციან, საითკენ წავიდნენ. როგორც გავიგეთ, კალანდარიშვილი საჩუქარზე წარუდგენია ჟანდარმის პოლიციას.

აფხაზი

24 დეკემბერი

*) ეს ამბავი უკვე დაბეჭდილია აქაურს გაზეთებში. ეხლა ჩვენა ვბეჭდავთ უფრო ვრცლად და დაწვრილებით.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

იქნება გაგეგონოთ, რომ ამ ახლო ხანში გაჩნდა მეტად საოცარი ფილოსოფია, ანუ ისეთი სიბრძნე, რომელმაც ხელის-გულზედ გადაგვიშალა, ვინ რა არის ამ ქვეყნად, რა მარაქაშია გასარევი, რის ღირსია და რის არა, და სხვანი. ამ ფილოსოფიისა და სიბრძნის დამწერს ვლადისლავლევი ჰქვიან და მის ფილოსოფიურს სიბრძნეს ფსიხოლოგიის სახელი აძევს.

იცითო, კითხულობს ახალი ბრძენი,—რაზეა დამყარებული ურთიერთობა და პატივისცემა კაცთაშორისაო? და პასუხად ამბობს: ჩვენი გრძნობა სხვათა მიმართ ორნაირია, წართქმული და უკუთქმული. წართქმული გრძნობა ზე-ზევით მიდის, რამდენიმე საფეხური აქვს, ხოლო უკუთქმული ქვე-ქვევით მიდის და აგრეთვე რამდენიმე საფეხური აქვს.

ვიკითხოთ ახლა, როდის შეგვიპყრობს ხოლმე წართქმული, ან უკუთქმული გრძნობა?

ბრძენის აზრით, თუ პატივ-საცემი კაცი ნახე, შეგიპყრობს ან გრძნობა პატივის-ცემისა, ან განკვირვებისა და ან დიადობისა. ეს არის გრძნობანი წართქმულნი. თუ შეგვხვდა კაცი არა პატივსაცემი, და აბუჩად აიგდებ, ან ზიზღით მოიხსენიებ და ან—სულ არარად ჩააგდებ, ეს არის გრძნობანი უკუთქმულნი.

ვნახოთ ახლა სახელდობრ როდის, რა შემთხვევაში და რა გრძნობა ებადება ადამიანს. როდისა სცემს კაცი კაცს პატივსა, როდის ეთაყვანებადა, როდის ეზიზღება, სძულს.

ყოველივეო, გვასწავებს ბრძენი ვლადისლავლევი,—დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ რა შეძლების პატრონია, ვის რა შემოსავალი და სიმდიდრე აქვს. თუ კაცი მდიდარია, თქვენ გებადებათ გრძნობა წართქმული, თუ ღარიბია—გრძნობა უკუთქმული. პატივის-ცემას ჰგრძნობთ კაცის მიმართ, თუ იმისი ჯამაგირი დაახლოვებით სამჯერ მეტია თქვენს ჯამაგირზე; გაკვირვებას ჰგრძნობთ, თუ ხუთჯერ მეტი შემოსავალი აქვს თქვენზე, ხოლო თუ ორმოც-და-ათჯერ მეტი შემოსავალი აქვს, მაშინ თქვენს გრძნობას დიადის განკვირვებისას საზღვარი, დასასრული აღარა აქვს.

ასეთს მოძღვრებას პატივცემული პროფესორი თუ რექტორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა მაგალითებით უფრო ცხადად გვიხსნის.

ავიღოთ, ვსთქვათ, პროფესორი, რომელიც 3,000 მან. იღებს ჯამაგირს წელიწადში. პროფესორი პატივსა სცემს იმას, ვისაც 4,000 მან. ჯამაგირი აქვს; გაკვირვებულია იმის წინაშე, ვისაც 15

---

იზრდები, მართალსაც მაშინ გაიგებ, სანამდე-კი შენ ის მართალიც გეყოფა, რომელიც შენს წლოვანობას შეეფერება. გიყვარდეს დედაშენი, შენზე უფროსებს პატივი ეცი, ბეჯითად ისწავლე, კარგად მოიქეცი—და შენი მართალი ეს იქნება!

— წამებულნი და?.. თქვენ თითონ არ ამბობდით წელან...

— წამებულნიც იყვნენ. მართალისათვის კაცმა დაცინვა და გინებაც უნდა აიტანოს, მაგრამ ჯერ ამისათვის შენ დრო არ მოგსვლია. ისიც უნდა ვთქვა, რომ მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა სხვა დროა. მართალმა იმატა და წამებულნიც აღარ არსებობენ.

— წამებულნი... აგზნებული ცეცხლი... ძლივს ლუღლუღებდა შერცხვენილივით პატარა სერგო.

— კარგია, გეყოფა!—მოუთმენელად დაუყვირა სერგოს მარიამმა.

სერგო გაჩუმდა. სადილად ბევრი ილაპარაკეს სოფლის ცხოვრების შესახებ. ამ ლაპარაკიდამ სრულებით ის არ გამოდიოდა, რომ მართალი უფრო ხშირად ყოფილიყო გამარჯვებული და ტყუილი—ძლეული. სერგოს ბევრჯელ გაეგონა ამისთანა ჩვეულებრივი ლაპარაკი და არას დროს არ აუშფოთებია საიმისოდ. მაგრამ იმ დღეს-კი მთელი მისი არსება რაღაც ახალმა ამბავმა განმსჭვალა, ააშფოთა და აალელვა.

— ჭამე რამე, ეუბნებოდა დედა შვილსა.

— ჯან-სალს სხეულში სალი სული დაისადგურებსო, დაუმატა მღვდელმაცა. შენ დედას გაუგონე და ამაზე უკეთესი სიმართლე ნუ გინდა. მართალი უნდა გიყვარდეს, მაგრამ მართლისათვის უმიზეზოდ რომ წამებულ კაცად დასახო შენი თავი, ეგ ამაო პატივ-მოყვარეობა იქნება.

მართლის მეორედ გაგონებამ ააშფოთა კიდევ სერგო; დაიხარა თავი საჭმლისაკენ და უნდოდა ლუკმა აეღო, მაგრამ ამ დროს უცბად გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. ყველანი შეშფოთდნენ, წამოხტნენ სუფრიდამ და ყმაწვილს შემოეხვივნენ გარშემო.

— თავი სტკივა?—ჰკითხავდა მარიამი.

— მტკივა—უპასუხა ყმაწვილმა მისუსტებულის ხმით.

— მაშ წადი და დაწექი ლოგინში. გადია! წაიყვანე და დააწვინე ლოგინში.

ყმაწვილი წაიყვანეს. პურის ჭამა შესწყდა რამდენისამე ხნით, რადგან მარიამმა ვერ მოითმინა და ისიც უკან გაჰყვა შვილსა. დაბრუნდნენ შემდეგ მარიამიცა და გადიაც და უთხრეს სტუმრებს, რომ სერგოს დაეძინაო.

— არა უშავს-რა, გამოიძინებს და გაუვლის ყველაფერი! ამშვიდებდა მარიამს მოძღვარი.

საღამოზედ თავის ტკივილმა მაინც არ გაუარა; თავის ტკივილს სიცხეც ზედ დაერთო. სიცხისაგან გათარანებული სერგო წამ და უწუმ წამოჯდებოდა ხოლმე ლოგინში და აფათურებდა ხელებს, თითქო რაღასაც ეძებსო.

— მარტინი ეტაპით... სახლში... მართლისათვის... ბოდავდა ყმაწვილი.

— რა ექნა, ვინ მარტინს ახსენებს? კითხულობდა მარიამი. გამდელმა აუხსნა, ვინ მარტინი იყო. მარიამი გაჯავრდა. თქვენთან არ შემოიშვება სწორედ ყმაწვილი, ათას სისულელეს ელაპარაკებითო.

მეორე დღეს მღვდელი წავიდა ქალაქს მკურნალის მოსაყვანად. მკურნალი ერთი ახირებული კაცი იყო. მკურნალობა არა სწამდა და ერთად-ერთი წამლობა იმისი ოპოდელდოკი იყო. ოპოდელდოკი მიეცით ავადმყოფსა, სხვა არაფერი უნდა-რაო, ამბობდა ხოლმე ეს უცნაური კაცი.

საღამო ჟამს მოვიდა მკურნალი, ნახა სიცხიანი ყმაწვილი და სთქვა:

— დიაღ, მცირეოდენი სიცხე აქვს, მაგრამ მალე გაუვლის. ოპოდელდოკი მიეცით და სხვა არაფერი უნდა, ხვალ ჩიტივით წამოხტება.

იმ ღამეს სერგენა მაინც ბოდავდა. რამდენჯერმე მოინდომეს მკურნალის გაღვიძება, მაგრამ ის მაინც ნამძინარევი ისევ თავისას გაიძახოდა, ოპოდელდოკი მიეცითო.

ბოდვაში სერგენა ხშირ-ხშირად ამბობდა: ქრისტე... მართალი... რაზსოშნიკოვი... მარტინი... ხელებს კვლავ აფათურებდა და კითხულობდა: სად არის? სად არის? შფოთვისაგან დასუსტებულს ყმაწვილს განთიადისას ძლივს მიეძინა.

დილით ადრე მკურნალი წავიდა ქალაქს. წასვლის დროს მარიამს უთხრა: აი ხედავ, რა ნაირ მოისვენა ყმაწვილმაო.

იმ დღეს დიდს გაჭირებაში იყვნენ სახლში: ხან მიეცემოდათ იმედი ყმაწვილის მორჩენისა, ხან სულ დაეკარგებოდათ. ვიდრე დღე იდგა, ყმაწვილს კიდევ არა უშავდა-რა, მაგრამ რაკი დაღამდა, ისე მოსწყდა, რომ ლაპარაკის ილაჯიც-კი წაერთვა. იმ ღამეს კვლავ მისცა სიცხე ყმაწვილს, მაჯამ ხშირ-ხშირად დაუწყო ცემა. მარიამი სერგენას ლოგინს აღარ მოშორებია. მწუხარებამ გააქვავა, გააშეშა საცოდავი ადამიანი.

ოპოდელდოკს თავი მიანებეს; გამდელმა შაბ-ტილოეპი აფარა ყმაწვილს შუბლზე, ასეა ანისულის ჩაი, ერთის სიტყვით, რაც-კი რამ სოფელში წამლობა გაეგონა, ყველა სცადა და იმას აღარა კითხულობდა, მოუხდებოდა მართლა ეს წამლობა ავადმყოფს, თუ არა.

ვახშმობისას ყმაწვილი სულთ-მობრძავი შეიქმნა. ამ დროს ამოვიდა სავსე მთვარე და, რადგანაც უყურადღებობის გამო ფარდები ჩამოშვებული არ იყო, კედელზე დიდი ბრწყინვალე სვეტი გამოჩნდა სინათლისა. სერგენა წამოჯდა ლოგინში და ხელები იმ სვეტისაკენ გაიწოდა.

— დედა!—ლუღლუღებდა ყმაწვილი.—შეხედე, თეთრად არის მოსილი... ეგ ქრისტეა... მართალი ეგ არის... წავყვეთ... წავიდეთ...

ყმაწვილი დაეცა ბალიშზედ, ამოიოხრა გულ-ამოსკვნით და მიიცვალა.

მართალი დაენახვა თითქო ყმაწვილს და ერთს წუთს დიდის ნეტარებით აავსო იმისი არსება; მაგრამ პატარა ყმაწვილის ნორჩმა გულმა ვერ გაუძლო დიდს სიხარულს, გული გაუსკდა და გასწყდა ძაფი სიცოცხლისა.

გრ. ყ—ძე

ათასი მანეთი ეძლევა წელიწადში; ალმერთებს იმ ბედნიერს, რომლისათვისაც ბედს 150 ათასი მანათი შემოსავალი ურგუნებია. პირ-იქით, იგივე პროფესორი ყურადღებასაც არ აქცევს იმ თავის ნაცნობს, რომელსაც 2,000 მან. აქვს, ეზიზღება ის, ვინც 600 მან. მეტს ვერა შოულობს, და სძულს ისა, ვინც 60 მან. იღებს წელიწადში ჯამაგირსაო.

რა გამოდის აქედამ? გამოდის, რომ პროფესორი ვლადისლაველევს ყველაზე პატივცემულ, საკვირველ და შესანიშნავ კაცად მიაჩნია ის გაიძვერა, პირჟის მოჭახრაკე, რომელსაც 100 ათასი მანათი წლიური შემოსავალი უშოვია, ხოლო ყველაზე საზიზღარ, არა-რა კაცად—ის უბედური, რომელიც ოფლის-ღვრითა და ვაი-ვაგლახით ძლივს ხუთს თუმანსა შოულობს წელიწადში.

პროფესორი რომ ამას ამბობდეს და ჰკიცხავდეს ასეთს ყოფას, კიდევ ჯანაბას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არა თუ ჰკიცხავს, უარ-ყოფით, ზიზღით ამბობს ყოველსავე ამას, არამედ სრულიად კანონიერ საქმედ მიაჩნია, ჩვეულებრივ მოვლენად სთვლის.

აი პროფესორი და ფილოსოფიაც ამისთანა უნდა! რითი სჯობიან ახლა ამისთანა ფილოსოფოსი ორს სხვა გამოჩენილს ფილოსოფოსს: კოზმა პრუტკოვს და კიფ მოკიევიჩს? კიფ მოკიევიჩმა, ვგონებთ, ვლადისლავლევზე წინად სთქვა, რომ ჩემი პლატონიცა და არისტოტელიც ის არის, ვინც ჩიბუხს თუმნიანის ქაღალდებით უკიდებს ცეცხლსაო. ვაი დროებანო, აი ზნეობანო!

# დეპეშა

24 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გაზეთები გვაუწყებენ, რომ ორშაბათს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ბაქოს შემოღება პიჩკებზედ.

**ვენა.** რუსეთის სამხედრო დესპანი ზუევი დაბრუნდა თავის თანამდებობის ასასრულებლად და აუწყა ვისაც ჯერ იყო, რომ მშვიდობიანობის დაცვა მაქვს მონდობილიო. ამ ამბავმა ძალიან ასიამოვნა ყველას.

**კიოლნი.** „კიოლნის გაზეთში“ სწერენ, რომ ავსტრიის იმპერატორმა ახალი წელიწადი მიულოცა იმპერატორს ვილჰელმსაო და მისწერა დეპეშითაო: „ღმერთმა ინებოს, რომ პოლიტიკო მდგომარეობა მალე გაირკვეს, ჩვენნი ქვეშევრდომნი დამშვიდნენ და დატკბნენ მშვიდობიანობის სიკეთითაო.

25 დეკემბერი

**პეტერბურგი.** „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს: დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა უბოძა ორდენი შავის არწივისა რუსეთში მყოფ გერმანიის ელჩს, გენერალს შვეინიცს. გენერალი შვეინიცი ისეთი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთისა და პრუსიის მეგობრობის განმტკიცებას მოანდომა. ეს გარემოება ახლო დამტკიცებაა იმისი, რომ ღირს პატივ-საცემი იმპერატორი ვილჰელმი ეხლაც იმავე მეგობრობით ეკიდება რუსეთს, როგორც მაშინ, როცა პრუსიის მეფედ იყოვო.

**ვენა.** ყველა აქაური გაზეთები ამბობენ, რომ სამშვიდობოდ დატრიალდა საპოლიტიკო საქმეებიო. „Neue Freie Press“-ს აუწყებენ ლონდონიდამ, რომ რა-კი პეტერბურგი და ბერლინი მორიგდა, მალე უთუოდ რუსეთი და ავსტრიაც მორიგდებაო.

26 დეკემბერი

**ბელგრადი.** მეფემ გამოსცა რესკრიპტი მთავარ-მინისტრის გრუიჩის სახელობაზე და ამ რესკრიპტით ბრძანა შეწყალება ყველა იმ მსჯავრდადებულთათვის, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა აჯანყებაში 1883 წელს; არ შეიწყალა მეფემ მხოლოდ პაშიჩი.

**ბრიუსელი.** გაზეთი „Nord“-ი ათავებს რა საპოლიტიკო საქმეთა მიმოხილვას 1887 წლისას, ამბობს, რომ უგუნურება იქნებოდა ამ წელს ომის მოლოდინიო, თუმცა ბოლგარიის საქმე-კი მართალია ჯერ მაინც არ გათავებულაო; უნდა-კი ვსთქვათ, რომ როცა ძალით წარმტაცეველნი ბოლგარიის ტახტისა, რომელნიც ეხლა სთრგუნავენ ყოველ ხელ-შეკრულობასა, შემწეობას მოკლებულნი შეიქმნებიან და ზოგიერთნი დიდნი სახელმწიფონი იმაიზე ხელს აიღებენ, მაშინ თავისით გადაწყდება გონივრულად ბოლგარიის საქმეცაო.

28 დეკემბერს

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი ვეშნიაკოვი დაინიშნა სტატ-სეკრეტრად და ის თანამდებობაც არ ჩამოერთვა, რომელსაც დღემდე ასრულებდა.

გუშინ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ იდღესასწაულა ორმოცდა-ათის წლის იუბილეი თავის დაარსებისა. ამ დღეობას დაესწრნენ ისინიც, ვინც წინად მსახურებდა სამინისტროში და ისინიც, ვინც დღესა მსახურობს.

„Petersburges Zeitung“-ს გაუგონია, რომ უკვე დაუთხოვნიათ უვადოდ ყველ-გათავებული ჯარის-კაცნი გვარდიის კავალერიისა და არტილერიისა. ქვეითა ჯარების კაცებსაც მალე დაითხოვენო. რადგანაც გვარდიაში ჯარის-კაცებს დაითხოვენ ხოლმე ჩვეულებრივ თებერვალსა და ან მარტში, ამიტომ გაზეთი ამტკიცებს, რომ დღევანდელს განკარგულებას მთავრობისას დიდი მნიშვნელობა აქვს და უეჭველს მშვიდობიანობას მოასწავებსო.

**პეტერბურგის ბირჟა, 23-ს დეკემბერს.**
**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 12 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . | — › | — › | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — › | — › | 275¾ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | — › | — › | — › |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

**დეკემბერი** 31 დღით არის

**29 დღე სამშაბათი.** წმ. თოთხმეტ ათას ყრმათა ბეთლემისა. კათოლ. წმ. მოწ. თომასი. სომეხ. წმ. იაკობ. მოციქულის და წმ. იოანე მახარებ. ალების ღამე სომეხთა შობის მარხვისა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯ ისა — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—49. მთვარე 28 დღისაა.

**30 დღე ოთხშაბათი.** წმ. ქალწ.-მოწ. ანუსიასი და ღირსისა ზოტიქესი. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—50. მთვარე 29 დღისაა.

**31 დღე ხუთშაბათი.** ღირსისა მელანიასი. კათოლ. წმ. ალმსაარ. პაპა სილვესტრისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე 30 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ძროხის ხორცი . . . | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 | › |
| › 2 › | 5 | › |

**იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ-ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ორშაბათ-კვირას ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სახელმწიფო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

**კერძო განცხადებანი**

დაიბეჭდა და იყიდება

**ღამის მეხრე ცეცხლი**

მოთხრობა
სოფრონ მგალობლიშვილისა,
გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ.
ფასი ერთი აბაზი.

მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა, ქართულს

**„მწყემსზედ“**

**და რუსულ ПАСТЫРЬ-ზედ.**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესისა სასულიერო და სახორციელო მთავრობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცნობა საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააღვიძოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერობა ქრისტიანობრივს კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) ახსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოხსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათის მოვალეობის ასრულებისათვის.

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 5 მ. | 6 თვით „მწყემსი“ 3 მ. |
| — ორივე გამოც. 6 მ. | — ორივე გამოცემ 4 მ. |
| — რუსული „ 3 მ. | — რუსული „ 2მ. |

წერილების გაგზავნა და პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში, რედაქციის სტამბის კანტორაში, ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію **„Мцкемси“** (Пастырь). ყვირილაში „მწყემსი“-ს რედაქციაში.

კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს უფრო გვარის დიდსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე აგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებით ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებელის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.

Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.

*Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25.* (20—5)

Годъ VI. Годъ VI.

Въ городѣ Карсѣ,
Карсской Области
открыта подписка
на газету
**„КАРСЪ“**
**НА БУДУЩІЙ 1888 ГОДЪ.**

*Газета „Карсъ“ въ 1888 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.*

**Условія подписки:**
**Съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.**

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета **„Карсъ“** имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству.

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის ასანთებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ძრიად იაფადაც ღირს. ნაღდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50 – 11)

КОФЕ ФАБРИКИ ЛЮБИТЕЛЕЙ С. СІУ и Ко. (50 – 6)

„წერა-კითხვის“ ბიბლიოთეკაში
და
ჩარკვიანის მაღაზიაში იყიდება

**სამი სხვერპლი**

მოთხრობა
დ. კარიჭაშვილისა.
ფასი 30 კაპ.

**საუნჯე ქართულის ენისა.**

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა-რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

**თამარიანი**

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ფასი 60 კაპ. (10—9)

Доз. цен. Тиф. 28 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.